

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12
2019 წლის 12 აპრილი

ქ. გორი

„გორის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №89 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა.“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის და საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„გორის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის №89 დადგენილებით (www.matsne.gov.ge, 27/12/2018, 190020020.35.148.016535) დამტკიცებული №1 დანართი შეიცვალოს შესაბამისად ახალი №1 დანართით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

დავით რაზმაძე

დანართი №1

მუხლი 1. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	39,204.0	39 397,5	8 039,6	31 357,9	49 428,7	11 082,6	38 346,2
გადასახადები	7,204.1	6 700,0	0,0	6 700,0	33 111,0	0,0	33 111,0
გრანტები	28,294.8	29 459,3	8 039,6	21 419,7	12 294,4	11 082,6	1 211,8
სხვა შემოსავლები	3,705.2	3 238,2	0,0	3 238,2	4 023,4	0,0	4 023,4
ხარჯები	23,785.8	24 914,3	318,9	24 595,4	28 422,7	2 241,3	26 181,3
შრომის ანაზღაურება	3,713.3	3 868,6	120,7	3 747,9	3 907,0	122,0	3 785,0
საქონელი და მომსახურება	3,140.6	3 264,4	37,3	3 227,1	3 159,8	35,5	3 124,3
პროცენტი	170.0	386,9	0,0	386,9	281,7	0,0	281,7
სუბსიდიები	13,367.0	14 339,8	124,7	14 215,1	16 054,1	135,0	15 919,1
გრანტები	344.7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	1,475.8	1 440,5	36,2	1 404,3	1 485,3	10,5	1 474,8
სხვა ხარჯები	1,574.5	1 614,1	0,0	1 614,1	3 534,8	1 938,3	1 596,5
საოპერაციო სალდო	15,418.2	14 483,2	7 720,7	6 762,4	21 006,1	8 841,2	12 164,8



არაფინანსური აქტივების ცვლილება	14,314.5	20 197,2	9 282,1	10 915,1	27 789,2	9 853,0	17 936,2
ზრდა	15,084.6	20 727,2	9 282,1	11 445,1	28 339,2	9 853,0	18 486,2
კლება	770.1	530,0	0,0	530,0	550,0	0,0	550,0
მოთიანი სალდო	1,103.7	-5 714,0	-1 561,3	-4 152,7	-6 783,2	-1 011,8	-5 771,4
ფინანსური აქტივების ცვლილება	945.2	-5 861,4	-1 561,3	-4 300,1	-7 038,9	-1 011,8	-6 027,2
ზრდა	1,360.9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	1,360.9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
კლება	415.7	5 861,4	1 561,3	4 300,1	7 038,9	1 011,8	6 027,2
ვალუტა და დეპოზიტები	415.7	5 861,4	1 561,3	4 300,1	7 038,9	1 011,8	6 027,2
ვალდებულებების ცვლილება	-158.5	-147,4	0,0	-147,4	-255,8	0,0	-255,8
კლება	158.5	147,4	0,0	147,4	255,8	0,0	255,8
საშინაო	158.5	147,4	0,0	147,4	255,8	0,0	255,8
ბალანსი	0.0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	39,974.2	39 927,5	8 039,6	31 887,9	7 038,9	1 011,8	6 027,2
შემოსავლები	39,204.0	39 397,5	8 039,6	31 357,9	7 038,9	1 011,8	6 027,2
არაფინანსური აქტივების კლება	770.1	530,0	0,0	530,0	7 038,9	1 011,8	6 027,2
გადასახდელები	39,029.0	45 788,9	9 601,0	36 187,9	57 017,6	12 094,3	44 923,3
ხარჯები	23,785.8	24 914,3	318,9	24 595,4	28 422,7	2 241,3	26 181,3
არაფინანსური აქტივების ზრდა	15,084.6	20 727,2	9 282,1	11 445,1	28 339,2	9 853,0	18 486,2
ვალდებულებების კლება	158.5	147,4	0,0	147,4	255,8	0,0	255,8
ნაშთის ცვლილება	945.2	-5 861,4	-1 561,3	-4 300,1	-7 038,9	-1 011,8	-6 027,2

მუხლი 3. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 49 428,7 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	39,204.0	39 397,5	8 039,6	31 357,9	49 428,7	11 082,6	38 346,2



გადასახადები	7,204.1	6 700,0	0,0	6 700,0	33 111,0	0,0	33 111,0
გრანტები	28,294.8	29 459,3	8 039,6	21 419,7	12 294,4	11 082,6	1 211,8
სხვა შემოსავლები	3,705.2	3 238,2	0,0	3 238,2	4 023,4	0,0	4 023,4

მუხლი 4. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 33 111,0 ათასი ლარის ოდენობით:
(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	7,204.1	6 700,0	0,0	6 700,0	33 111,0	0,0	33 111,0
საშემოსავლო გადასახადი	2,223.7	2 100,0	0,0	2 100,0	0,0	0,0	0,0
დამატებული ღირებულების გადასახადი	0,0	0,0	0,0	0,0	28 511,0	0,0	28 511,0
ქონების გადასახადი	4,980.3	4 600,0	0,0	4 600,0	4 600,0	0,0	4 600,0
საქართველოს საწარმოთა	3,276.2	3 320,0	0,0	3 320,0	3 320,0	0,0	3 320,0
ქონებაზე (გარდა მიწისა) უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	10.6	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	65.2	52,0	0,0	52,0	52,0	0,0	52,0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	764.9	652,0	0,0	652,0	652,0	0,0	652,0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	863.5	576,0	0,0	576,0	576,0	0,0	576,0

მუხლი 5. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 12 294,4 ათასი ლარის ოდენობით:
(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
გრანტები	28,294.8	29 459,3	12 294,4
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	94.4	710,9	1 211,8
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერები	28,200.4	28 748,4	11 082,6
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	21,018.8	21 011,8	2 241,3
გათანაბრებითი ტრანსფერი	20,708.8	20 708,8	0,0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	310.0	303,0	2 241,3
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	6,881.6	7 736,6	8 841,2
რეგიონების ფონდის პირველადი განაწილება	6,832.0	7 198,3	7 211,2
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0,0	0,0	1 630,0



მთავრობის სარეზერვო ფონდიდან	49.6	0,0	0,0
მაღალმთიანი დასახლების განვითარების	0.0	538,4	0,0
ფონდიდან გამოყოფილი თანხები			

მუხლი 6. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 4 023,4 ათასი ლარის ოდენობით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	3,705.2	3 238,2	4 023,4
შემოსავლები საკუთრებიდან	739.2	605,0	630,0
პროცენტები	259.3	190,0	200,0
რენტა	480.0	415,0	430,0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	253.8	190,0	200,0
შემოსავალი მიწის იჯარაიდან მართვაში (უზურფრუქტი, გირავნობა და სხვა) გადასაცემად	226.2	225,0	230,0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,122.1	1 073,2	693,4
ადმინისტრაციული მოსაკრებელი და გადასახდელები	1,036.1	1 013,0	603,0
სანებართვო მოსაკრებელი	152.8	130,0	70,0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	3.4	3,0	3,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	574.4	600,0	230,0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	305.5	280,0	300,0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	86.0	60,2	90,4
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	86.0	60,2	90,4
ჯარიმები, სანქციები და საურავები	1,594.7	1 560,0	2 700,0

მუხლი 7. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 28 422,7 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	23,785.8	24 914,3	318,9	24 595,4	28 422,7	2 241,3	26 181,3
შრომის ანაზღაურება	3,713.3	3 868,6	120,7	3 747,9	3 907,0	122,0	3 785,0
საქონელი და მომსახურება	3,140.6	3 264,4	37,3	3 227,1	3 159,8	35,5	3 124,3
პროცენტი	170.0	386,9	0,0	386,9	281,7	0,0	281,7
სუბსიდიები	13,367.0	14 339,8	124,7	14 215,1	16 054,1	135,0	15 919,1
გრანტები	344.7	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
სოციალური	1,475.8	1 440,5	36,2	1 404,3	1 485,3	10,5	1 474,8



უზრუნველყოფა							
სხვა ხარჯები	1,574.5	1 614,1	0,0	1 614,1	3 534,8	1 938,3	1 596,5

მუხლი 8. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 27 789,2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 28 339,2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	188.7	71,0	374,2
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12,788.1	19 693,5	25 520,2
03 00	საგანმანათლებლო ღონისძიებები	484.6	696,8	1 969,6
04 00	სპორტული და კულტურული ღონისძიებები	1,584.5	180,1	372,5
05 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	38.7	74,8	102,7
სულ ჯამი		15,084.6	20 716,2	28 339,2

ბ) განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 550,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	770.1	530.0	550.0
ძირითადი აქტივები	109.1	190.0	50.0
არაწარმოებული აქტივები	661.1	340.0	500.0
მიწა	661.1	340.0	500.0

მუხლი 9. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ფუნქც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	5,789.5	5 912,3	6 205,0
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	5,619.5	5 482,2	5 824,2
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	5,619.5	5 462,2	5 624,2
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	20,0	200,0
7013	საერთო დანიშნულების მომსახურება	0.0	16,2	39,1
70131	საერთო საკადრო მომსახურება	0.0	16,2	39,1



7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	170.0	413,9	341,7
704	ეკონომიკური საქმიანობა	11,891.8	18 186,2	22 790,0
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	50,0	330,0
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	50,0	330,0
7045	ტრანსპორტი	7,968.5	12 553,0	12 220,0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	7,963.1	12 553,0	12 220,0
70455	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	5.4	0,0	0,0
7047	ეკონომიკის სხვა დარგები	0.0	824,6	1 619,7
70473	ტურიზმი	0.0	824,6	1 619,7
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	3,923.3	4 758,6	8 620,2
705	გარემოს დაცვა	296.3	1 446,3	2 458,4
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	0.0	115,0	150,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	296.3	1 331,3	2 308,4
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	5,929.0	5 546,2	5 179,2
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	267.7	270,0	270,0
7063	წყალმომარაგება	3,871.2	3 366,2	2 170,2
7064	გარე განათება	1,129.6	1 340,0	2 117,0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	660.4	570,0	622,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	250.9	278,0	303,0
7072	ამბულატორიული მომსახურება	135.9	143,0	168,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	115.0	135,0	135,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	7,184.8	5 625,6	6 899,6
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	4,083.3	2 873,8	3 851,0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	2,636.5	2 495,3	2 792,1
7083	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	26.9	56,5	56,5
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	120.0	200,0	200,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	318.0	0,0	0,0
709	განათლება	5,826.5	6 998,3	11 058,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	5,774.9	6 953,8	9 069,6
7092	ზოგადი განათლება	46.2	44,5	1 988,3
70923	საშუალო ზოგადი განათლება	46.2	44,5	1 988,3
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	5.4	0,0	0,0
710	სოციალური დაცვა	1,701.8	1 648,7	1 868,8
7101	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	878.5	873,2	950,0
71011	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	658.4	574,8	670,0
71012	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა	220.2	298,5	280,0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	7.0	9,0	9,0
7103	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	59.9	31,2	30,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	183.9	194,0	220,0
7106	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	130.8	66,6	130,0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	441.6	474,6	529,8
სულ ჯამი		38,870.4	45 641,5	56 761,9

მუხლი 10. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -6 783,2 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება -7 038,9



ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 7 038,9 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -255,8 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 200,0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს გორის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 2 241,3 ათასი ლარი, მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 135,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 158,0 ათასი ლარი;

გ) „საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ და „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 10,0 ათასი ლარი;

დ) „საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის – 1 840,0 ათასი ლარი და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის – 98,3 ათ. ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16. გორის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

განხორციელდება კომუნალური ინფრასტრუქტურის მოწყობა-ექსპლოატაცია და კეთილმოწყობის ღონისძიებები.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება გზების, სანიაღვრე არხების, სკვერების, გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გორის მუნიციპალიტეტის საავტომობილო, სოფლების დამაკავშირებელი და შიდასაუბნო გზების მშენებლობა, მოვლა და რეაბილიტაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება გზებისა და ქუჩების რეაბილიტაცია.

ა.ა) გზების მშენებლობა, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია გორის მუნიციპალიტეტის ქუჩების და საავტომობილო გზების რეაბილიტაცია, რომელიც მოიცავს ქუთაისის ქუჩის (სტალინის გამზირიდან გოგებაშვილის ქუჩის კვეთამდე) მონაკვეთისა და მეჯუდის საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციას, ქუთაისის ქუჩის (აღმაშენებლის გამზირიდან ძმები რომელაშვილების ქუჩამდე) მონაკვეთის რეაბილიტაციას, ქ.წამებულის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩის კვეთიდან ძმები რომელაშვილების ქუჩის კვეთამდე) რეაბილიტაციას, ბუხაიძის და შიო მღვიმელის ქუჩების რეაბილიტაციას, აბრამიშვილის ქუჩის საყრდენი კედლის მოწყობას, ტყვიავის ქუჩის (ტყვიავის ქუჩის კვეთიდან ჩრდილოეთის მიმართულებით) რეაბილიტაციას, კოსტავას ქუჩის საფეხმავლო სივრცის რეაბილიტაციას, გორიჯვრის ქუჩის დარჩენილი მონაკვეთის, სოფელ ტყვიაშვილის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის მოასფალტებას, სოფელ ნიქოზის და ქვახვრელის გზების რეაბილიტაციას და სხვა ქუჩებისა და გზების რეაბილიტაციას.

ასევე გათვალისწინებულია ქ. გორის ქუჩებში საგზაო ნიშნების მონტაჟისა და საგზაო მონიშვნების მოწყობის სამუშაოების განხორციელება.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში დაგეგმილია სუბიშვილის ქუჩის პარალელური გზის (სუბიშვილის ქუჩის №18-24 კორპუსების წინ გამავალი და სასწრაფო-სამედიცინო დახმარების სამსახურამდე მისასვლელი გზა) რეაბილიტაცია, ბარნოვის ქუჩის (გურამიშვილის ქუჩიდან რომელაშვილების ქუჩამდე) რეაბილიტაცია, კახნიაშვილის, გორგასალის ქუჩების რეაბილიტაცია, კარალეთის დევნილთა დასახლებაში შიდა გზების, დიცი-ქორდი-არბო-მერეთის, ტირმნისი-თერგვისი-ბუჟღულაანთუბნის გზების, სოფელ მეჯვრისხევისა და ახალუბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება აღმაშენებლის და თბილისის ქუჩების, მღებრიანის გზების რეაბილიტაცია, საყვარის გზის მოხრეშვა და წითელწყაროს გზის მონაკვეთზე კლდის მოშლა და გზის გაწმენდა.

გასული წლის ვალდებულებების ფარგლებში გათვალისწინებულია ქ. გორში გოგებაშვილის ქუჩის (კახნიაშვილის ქუჩის კვეთიდან 26 მაისის სანაპირომდე) მონაკვეთის და საკათედრო ტაძრის მიმდებარე მოედნის რეაბილიტაციის და საკანალიზაციო ქსელის მოწყობის და ასევე სოფელ მელვრეკისის გზის რეაბილიტაციის დასრულება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02)

პროგრამის მიზანია ეფექტიანი კომუნალური სისტემის შექმნა, ერთიანი ენერგოეფექტური გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება გარე განათების ქსელის გაფართოვება, არსებული ქსელის რეაბილიტაცია, ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება. წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლების სისტემების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის ფუნქციონირების ხელშეწყობა, ინფრასტრუქტურული პროექტების, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება, სარწყავი არხების მოწყობის, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა, საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურების ხელშეწყობა.

ბ.ა) გარეგანათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 02 02 01)

მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილების მიზნით პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ქუჩების, შენობების, ხიდების, შადრევნების გარე განათებაზე დახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურება, გარე განათების ქსელის გაფართოვება



და არსებული ქსელის რეაბილიტაცია,

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია გარე განათების გაუმჯობესება სოფლებში: სვენეთი, ქვემო შავშვები, წითელუბანი, ნაწრეტი, ზერტი, მერეთი, კოშკი, კარბი, რიეთი, კოშკები, ტირმნისი, ბროწლეთი, მეღვრეკისი, ერგნეთი, თერგვისი, დიცი, ქორდი, არბო, ტინისხიდი, ვარიანი, ახალდაბა, შინდისი, ფხვენისი, ქიწნისი, ძევერა, ჯარიაშენი, ახრისი, მუმლაანთკარი, ქვეში, ახალუბანი, ციცაგიაანთკარი, ბნავისი, მღებრიანი, ბოშური, ქვემო ნიქოზი, თორტიზა, ქვემო სობისი, საქაშეთი, ცხინვალის გზ. (გაგრძელება), ქალაქ გორში სტალინის გამზირი.

ბ.ბ) დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ნაგვის ურნების შეძენა.

ბ.გ) საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია რკინიგზის დასახლებაში არსებული საკანალიზაციო ქსელის გამწმენდი ნაგებობის ფუნქციონირების (ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურება) ხელშეწყობა.

რეგიონალური პროექტის თანადაფინანსების პროგრამით დაგეგმილია კარალეთის დევნილთა ჩასახლების და ელექტროფიკაციის დასახლების საკანალიზაციო სისტემის და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გამტარუნარიანობის გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია სოფელ ხელთუბანში, ქვახვრელში, აძვში სანიაღვრე არხის ბეტონის ღარებით მოწყობა.

ბ.დ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტები (პროგრამული კოდი 02 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფლებში განსახორციელებელი პროექტების დაფინანსება დასახლებებში მაცხოვრებელთა რაოდენობის შესაბამისად.

ბ.ე) წყლის სისტემის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გორის მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს სასმელი წყლის სოკოვზე და შადრევნებზე დახარჯული წყლის ღირებულების და დევნილთა დასახლებებში სასმელი წყლის ჭაბურღილებისა და წყლის საქაჩების ფუნქციონირებისათვის საჭირო ელ.ენერგიის ღირებულების ანაზღაურებას. სოფლებში: ხურვალეთში, ბოზნევეში, ატენში, ვარიანის მეურნეობაში და სხვა სოფლებში განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების მოწყობა-რეაბილიტაცია.

რეგიონალური პროექტის თანადაფინანსების პროგრამით დაგეგმილია ნადარბაზევში, ყელქცეულში, ზედდულეთში, არაშენდაში, ტინისხიდში და ახალდაბაში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია ხურვალეთის სასმელი წყლის მაგისტრალის რეაბილიტაცია, შერთულში სასმელი წყლის მილების გაყვანა, ფიცესში სასმელი წყლის ავზის და მილების მონტაჟი.

ბ.ვ) საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურება (პროგრამული კოდი 02 02 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში განხორციელებული სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

ბ.ზ) ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 02 10)

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურული მდგომარეობის გაუმჯობესების და



შემდგომში პრობლემის გადაჭრის მექანიზმის შექმნის მიზნით მუნიციპალიტეტი აცხადებს მზადყოფნას პროექტის ღირებულების არაუმეტეს 90%-ის ფარგლებში თანადაფინანსებით წახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო დაფინანსებაზე მყოფი, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო იურიდიული პირი და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას პროექტის განხორციელებისათვის.

ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება.

ბ.თ) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 02 02 11)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა გაერთიანებების თანადაფინანსება. თანადაფინანსების შემთხვევაში აღნიშნული პროექტი უნდა ითვალისწინებდეს მრავალსართულიანი სახლების, ორ ან ორზე მეტ მომიჯნავე მიწის ნაკვეთზე არსებული ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობას, ექსპლუატაციას და განვითარებას.

პროექტის წარმომდგენმა ამხანაგობამ უნდა მოახდინოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების რეაბილიტაციის, სასმელი წყლის და საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის, ლიფტების, ფასადის, სადარბაზოების და ეზოების პროექტის საერთო ღირებულების მინიმუმ 10%-ით თანადაფინანსება;

ბ.ი) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის სისტემების, წყალარინების, მელიორაციის, ჭაბურღილებისა და სატუმბო სადგურების სამსახურის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02 12)

ქვეპროგრამის ფარგლებში ახორციელებს გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (გარდა ქალაქი გორისა) სასმელი წყლის სისტემების მომსახურებას, წყალარინების სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას და მოქმედი წყალმომარაგების სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფას და მომსახურებას.

უზრუნველყოფს გორის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სარწყავი წყლის ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების გამართულ მუშაობას, საავარიო სამსახურის ფუნქციონირებისათვის ადგილზე ორგანიზების გაწევას, წყალარინების, სარწყავი სისტემების ჭაბურღილების და სატუმბო სადგურების დაზიანებების ლიკვიდაციას, მოპოვებული წყლის რეგულარულ ლაბორატორიულ კონტროლს და წყალმომარაგების სისტემებში დაზიანებების ლიკვიდაციას.

ასევე უზრუნველყოფს ქალაქ გორში სადგურის დასახლებაში არსებული გამწმენდი ნაგებობის მოვლა-პატრონობას.

ბ.კ) ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02 13)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შედგენის მესამე ეტაპის სამუშაოების დაფინანსება.

ბ.ლ) სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 02 14)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შიდა სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ ატენში სარწყავი სისტემის აღდგენა და რეაბილიტაცია.

გ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება იერსახის გაუმჯობესების მიზნით მუნიციპალიტეტში



არსებული სკვერების და გაზონების გამწვანება, მოვლა-შენახვა, მოწყობა და რეაბილიტაცია, მუნიციპალური შენობების რეაბილიტაცია, ა(ა)იპ – „სტრატეგიული განვითარების სააგენტოს“, ა(ა)იპ – „კეთილმოწყობის სააგენტოს“ ფუნქციონირების ხელშეწყობას და მოსაცდელების რეაბილიტაციას.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში განხორციელდება სკვერების, გაზონების, საბავშვო გასართობი და სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის და სასაფლაოების შემოღობვის ღონისძიებები.

გ.ა) საახალწლოდ ქალაქის მორთვის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 03 01)

საახალწლო ღონისძიებების განსახორციელებლად იგეგმება მუნიციპალიტეტში გაფორმების სამუშაოების უზრუნველყოფა კერძოდ: ხელოვნური ნაძვისხის მონტაჟი და დემონტაჟი, შენობებზე, ხის ვარჯებზე და ქუჩებში გაბმულ სადენებზე სხვადასხვა სახის დეკორატიული სანათების მოწყობა და დემონტაჟი.

გათვალისწინებულია ნაძვის ხისთვის განახლებული განათების სისტემის შეძენა და სხვადასხვა ლოკაციებზე განახლებული დეკორატიული სანათების მოწყობა.

გ.ბ) შადრევნის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სტალინის სკვერში კასკადური შადრევნის რეაბილიტაციის დასაბრუნებელი საგარანტიო თანხა.

გ.გ) სკვერებისა და გაზონების ექსპლოატაცია, რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 03)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის გარემოსა და იერსახის გაუმჯობესება. დაგეგმილია სუბიშვილის ქუჩაზე მამარდაშვილის სახელობის მემორიალის რეაბილიტაცია და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა და არსებული სკვერების რეაბილიტაცია.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში იგეგმება მშვიდობის, ზუბალაშვილების, ყიფიანის, ტყვიავის, მუსხელიშვილის, რომელაშვილების ქუჩებზე, ვერხვების დევნილთა დასახლებაში, რაგბის სტადიონთან, გარეჯვარში, არაშენდაში, საქაშეთის დევნილთა დასახლებაში, უფლისციხეში, ქვემო არცევიში, ფლავისმანში, მარანაში სკვერების მოწყობა-რეაბილიტაცია ბავშვთა გასართობი მოედნებით.

გ.დ) გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსაწყობი ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის შეძენა (პროგრამული კოდი 02 03 04)

ქვეპროგრამის მიზანია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოწყობა.

გ.ე) მუნიციპალური შენობების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების, ლიფტების და ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 05)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში და ა(ა)იპ-ების სარგებლობაში არსებული შენობების რეაბილიტაცია და ეზოების კეთილმოწყობა.

რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფარგლებში გათვალისწინებულია ქალაქ გორში ჭონქაძის ქუჩაზე სსიპ – „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რაიონული სამსახურის“ შენობის მშენებლობა.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში დაგეგმილია სოფელ შავშვებში და ერგნეთში რიტუალების სახლების რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა.

გ.ვ) სპორტული მოედნების მოწყობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 03 06)

ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის, მასიური ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისათვის სასპორტო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამყარება და სრულყოფა. სპორტული მოედნების მოწყობა ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი მოზარდი თაობის



აღსაზრდელად და მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დასაცავად.

ამ მიზნით მაღალმთიანი სოფლების განვითარების ფონდის ფარგლებში იგეგმება ერგნეთში სპორტული კომპლექსის და ტერიტორიის კეთილმოწყობის თანადაფინანსება.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში დაგეგმილია შინდისის გზატკეცილზე, გორგასალის, ღამბარაულის ქუჩებზე, ვერხვების დევნილთა დასახლებაში, კარალეთში, ნადარბაზევში, შავშვების დევნილთა დასახლებაში, პატარა ხურვალეთში, მეჯვრისხევში, კვარხეთში, სკრაში, ქვახვრელში, ქვემო ხვითში, ყელქცეულში, ქიწნისში, ზედდულეში, ზემო ნიქოში, ტყვიავეში, ატენში, ხიდისთავში სპორტული მოედნების ტრენაჟორებით მოწყობა-რეაბილიტაცია.

გ.ზ) დეფექტური აქტების, პროექტების და ხარჯთაღრიცხვების მომსახურების დაფინანსება (პროგრამული კოდი 02 03 07)

ქვეპროგრამების მიზანია მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებისათვის საჭირო რესურსით უზრუნველყოფა.

გ.თ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სტრატეგიული განვითარების სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 13)

ქვეპროგრამის მიზანია:

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური პრობლემების და მოთხოვნილებების შესწავლის, მუნიციპალიტეტის განვითარებისათვის განსახორციელებელი პროექტებისათვის თანხების მოძიების, დემოგრაფიულ, სოციალურ და ეკონომიკურ სკითხვებზე გამოკითხვების ჩატარების, ხელისუფლების და ბიზნესსექტორის მიერ საინვესტიციო შესაძლებლობების ანალიზის, უცხოურ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის დამყარების და განვითარების სხვა პროგრამების შემუშავების მიზნით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის განვითარების სააგენტოს ადმინისტრაციული ხარჯების უზრუნველყოფა სუბსიდირების გზით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების სამგანზომილებიანი მოდელირება, მასზე არსებული ინფორმაციის მიმაგრება და ინტერნეტ სივრცეში განთავსება. გეოინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა. ასევე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების და შენობა-ნაგებობების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მიზნით მათი ექსპლოატაციისათვის აუცილებელი ტექნიკური დოკუმენტაციის მომზადების უზრუნველყოფა.

შიდა ტურიზმის, შემოყვანის ტურიზმის, სამთო ტურიზმისა და ალპინიზმის პოპულარიზაცია და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება მოსწავლე-ახალგაზრდობაში. ტურიზმსა და საკურორტო სფეროში მუნიციპალური პრიორიტეტების, სტრატეგიისა და წინადადებების შემუშავება. ახალი ტურისტული ადგილების შექმნისათვის რეკომენდაციების მომზადება და მრავალფეროვანი ტურისტული პროგრამების შექმნა და შეთავაზება.

გ.ი) სასაფლაოების შემოღობვა (პროგრამული კოდი 02 03 14)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების მოწესრიგება და მიმდებარე ტერიტორიების კეთილმოწყობა .

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში გათვალისწინებულია სოფელ რეხაში, ხურვალეთში და საქაშეთში სასაფლაოს შემოღობვა, ხოლო სოფელ ფლავში სასაფლაოსთან მისასვლელი ხიდისა და წყაროს მოწყობა.

გ.კ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03 16)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების ღონისძიებებს



უზრუნველყოფა, მოსახლეობიდან და საწარმო-ორგანიზაციებიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ქალაქის ქუჩების დაგვა-დასუფთავება. სააგენტო უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის 75 (სამოცდათხუთმეტი) სოფლიდან და 5 (ხუთი) დევნილთა დასახლებიდან, საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას, ასევე სტიქიური ნაგავსაყრელების ლიკვიდაციას; საკანალიზაციო, შიდა სარწყავი სისტემებისა და სანიაღვრე არხების მოწყობა-ექსპლუატაციას; სასიცოცხლო ფუნქციაშეწყვეტილი მერქნული რესურსის გადაბეღვას, გარემოდან ამოღებას და ახლით ჩანაცვლებას, სპორტული მოედნების, სკვერების და გაზონების მწვანე საფარის მოვლა-შენახვას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციას და მუნიციპალური ქონების მიმდინარე შეკეთებას.

გ.ლ) ადგილობრივი ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერება გორში მდგრადი განვითარებისათვის (პროგრამული კოდი 02 03 17)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება, დასაქმების ახალი შესაძლებლობების შექმნა, ახალგაზრდებისა და ტურიზმთან დაკავშირებული სერვისის მიმწოდებლების უნარების გაძლიერება.

აგრეთვე პროექტის ფარგლებში განხორციელდება შემდეგი საქმიანობები: ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა; პარკის რეაბილიტაცია; ტურიზმის საინფორმაციო ცენტრის გახსნა; პარკინგისა და სანიტარიული ობიექტების მოწყობა; ქალაქის ცენტრსა და ისტორიულ ნაწილში ველო-ინფრასტრუქტურის მოწყობა და ველოსიპედების გაქირავების სერვისის შექმნა; სუვენირებისა და სხვა ადგილობრივი პროდუქტების სარეალიზაციო სივრცის შექმნა; ეროვნული საკვებისა და ხელნაკეთობების დამამზადებელი სახელოსნოების მოწყობა, სადაც მუშაობის პროცესი ნაჩვენები იქნება ვიზიტორებისათვის და გაიყიდება შექმნილი პროდუქცია; პარკში კაფის მოწყობისათვის საჭირო სივრცის შექმნა; ახალგაზრდების დასააქმების შესაძლებლობების გაზრდის მიზნით მათი უნარების გაძლიერება ტრენინგების, სტაჟირებისა და ბიზნეს-კონსულტირების სერვისის გზით.

გ.მ) მოსაცდელების მოწყობა (პროგრამული კოდი 02 03 18)

ქვეპროგრამის მიზანია მგზავრთა კომფორტული მგზავრობისათვის ავტოტრანსპორტის გაჩერების ადგილებზე მოსაცდელების მოწყობა-რეაბილიტაცია.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სოფელ სვენეთში, ქორდში და სხვა სოფლებში მოსაცდელების მოწყობა.

გ.ნ) სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების შეძენა (პროგრამული კოდი 02 03 19)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავების გაუმჯობესების მიზნით სპეციალური დანიშნულების სატრანსპორტო საშუალებების შეძენა.

ასევე გათვალისწინებულია გრანტის ფარგლებში ტრაქტორის შეძენა.

2. განათლება (პროგრამული კოდი 03 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა, მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება.

ა) სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მაცხოვრებელი სკოლამდელი ასაკის ბავშვის სკოლამდელ დაწესებულებაში სწავლის ხელმისაწვდომობის გაზრდა, რის გამოც მუნიციპალიტეტი გეგმავს ახალი ბაღების მშენებლობას და არსებული სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაციას.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტყუიკის, პაჭარა გარეჯის, ბერბუკის, ქირის და სხვა



საბავშვო ბაღების ნაწილობრივი რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა.

„სამოქალაქო ბიუჯეტის“ ფარგლებში დაგეგმილია ატენში, ვარიანის მეურნეობაში, შერთულში, სათემოში და ნიქოზში სკოლამდელი დაწესებულებების შენობების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა.

ასევე დაგეგმილია განსახორციელებელი ღონისძიებების ფარგლებში ქ.გორში, რკინიგზის სადგურის დასახლებაში საბავშვო ბაღის მშენებლობა.

ბ) განათლების ხელშეწყობისა და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ სკოლებში კლასგარეშე აქტივობების განხორციელება, აქტუალური თემებისა და პროექტების წამოწევა და მათი დაგეგმვა-პრეზენტაცია, მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცნობიერებისა და მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტის ურთიერთთანამშრომლობა და კოორდინაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ უწყებებთან. აგრეთვე, ტერიტორიაზე არსებული სკოლების დამამთავრებელი კლასების წარჩინებული მოსწავლეების წახალისება ერთჯერადად ფინანსური დახმარების სახით (ეროვნული გამოცდების შედეგების გათვალისწინებით).

გ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის სააგენტოს ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 03 06)

ქვეპროგრამის მიზანია გორის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების მართვა, სათანადო ფუნქციონირება და მათი ავტორიზაციის მოთხოვნებთან შესაბამისი სტანდარტების რეგულარული ხელშეწყობა.

გორის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 62 საბავშვო ბაგა-ბაღი, სადაც დაწყებით განათლებას იღებს საშუალოდ 6142 აღსაზრდელი.

სააგენტო უზრუნველყოფს სკოლამდელი აღზრდის საჯარო დაწესებულებების ინფრასტრუქტურულ განვითარება-გაუმჯობესებას და ინკლუზიური განათლების პროცესის ხელშეწყობას.

აგრეთვე, ახორციელებს საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოს შესყიდვას კანონით დადგენილი წესით და მერიის მიერ შემუშავებული ავტორიზაციის წესის შესაბამისად დაწესებულებათა მონიტორინგს.

დ) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის განხორციელება (პროგრამული კოდი 03 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება და მოსწავლეთა ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია კულტურული ტრადიციების დაცვა და ღირსეული გაგრძელება. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა.

ა) სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარების ხელშეწყობა და სპორტული სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა მომავალი სპორტული თაობის



აღსაზრდელად. ასევე განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა ნიჭიერი სპორტსმენების აღზრდისა და წახალისების მიზნით. გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებების დაფინანსება სპორტული სკოლების გაერთიანების მეშვეობით, რომელიც უზრუნველყოფს სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებას.

ა.ა) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01 01)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ყველა სახეობის განვითარება. მუნიციპალიტეტში მოღვაწეობს მრავალი წარმატებული ადამიანი, რომელთა საქმიანობა მიმართულია სპორტული ცხოვრებისაკენ. მუნიციპალიტეტი ახორციელებს წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა სპორტსმენებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია წარმატებული სპორტსმენების და მწვრთნელების წახალისება.

ასევე გათვალისწინებულია რაგბის განვითარების ხელშეწყობა.

ა.ბ) პაპიტაშვილის სახელობის საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 01 04)

ქვეპროგრამის მიზანია საჭიდაო დარბაზის რეაბილიტაცია მისი სრულყოფილი ფუნქციონირების მიზნით.

ა.გ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის კლუბ „გორის“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 01 06)

ქვეპროგრამის მიზანია ფეხბურთის სპორტული სახეობის განვითარებისათვის მომავალი თაობის მომზადება.

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფეხბურთის კლუბის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

ა.დ) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარებისა და ხელშეწყობის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 01 11)

ქვეპროგრამის მიზანია გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჯანსაღი გარემოს შექმნა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დანერგვა-პოპულარიზაცია; სპორტის სხვადასხვა სახეობებისა და სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება და განვითარება; მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა; განსაკუთრებული უნარ-ჩვევების მქონე ახალგაზრდების გამოვლენა და მათი განვითარების ხელშეწყობა; ახალგაზრდებისათვის სპორტის სხვადასხვა სახეობების მაღალ დონეზე სწავლება-ორგანიზების წარმართვა; სხვადასხვა სახის ღონისძიებების – ტურნირების მომზადება და გამართულად ჩატარების უზრუნველყოფა.

ბ) კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი ითვალისწინებს სადღესასწაულო ღონისძიებების დაგეგმვას და ჩატარებას, ადგილობრივი და საერთაშორისო ფესტივალების, საქველმოქმედო ღონისძიებების, შემოქმედებითი სადამოების, კონცერტების დაგეგმვას და ორგანიზებას, მოსახლეობის პოზიტიური განწყობის შექმნას, ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანების და ჯგუფების წარმოჩენას და პოპულარიზაციას, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისადმი მიძღვნილი დღესასწაულის აღნიშვნას ღონისძიებებით. მუნიციპალიტეტი კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში აგრძელებს ბიბლიოთეკის, ნიკო ლომოურის, მემორიალური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმების, მწერალთა და საგამომცემლო საქმიანობის ფინანსურ მხარდაჭერას.

ბ.ა) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის გაზეთ „გორის მაცნეს“ ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02 08)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური საინფორმაციო გაზეთის გამოცემის უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფს ადგილობრივი საინფორმაციო გაზეთის „გორის მაცნეს“ ყოველკვირეული გამოცემის ხელშეწყობას, რომელიც მოსახლეობას აცნობს



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განვითარებულ მოვლენებს, მიღწეულ წარმატებებს და სიახლეებს სხვადასხვა სფეროში.

ასევე უზრუნველყოფს მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და შემეცნებითი შინაარსის ჟურნალის გამოცემის ხელშეწყობას.

ბ.ბ) გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიის დაცვა (პროგრამული კოდი 04 02 09)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება გორის ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ნაგებობების დაცვა.

ბ.გ) კულტურული ღონისძიებების პროექტების ხელშეწყობის და თანადაფინანსების პროგრამა (პროგრამული კოდი 04 02 10)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების და მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფების მიერ წარმოდგენილი პროექტების და ფესტივალების თანადაფინანსების უზრუნველყოფა, რომელიც ემსახურება კულტურული სფეროს გაუმჯობესებას.

ბ.დ) სოფელ არბოში ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02 11)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოფელ არბოში ნიკო ლომოურის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია

ბ.ე) ა(ა)იპ – გორის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის სააგენტო (პროგრამული კოდი 04 02 17)

ქვეპროგრამის მიზანია კულტურისა და ტურიზმის ერთიანი პოლიტიკის ჩამოყალიბება და განვითარების ხელშეწყობა; გორის მუნიციპალიტეტის ისტორიული, ლიტერატურული და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, პოპულარიზაცია; ქართული მწერლობისა და ხალხური შემოქმედების პოპულარიზაციის ხელშეწყობა; მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის შემოქმედებითი ნიჭის გამოვლენა-განვითარების და ინტელექტუალური ღონის ამაღლების ხელშეწყობა.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 03)

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ახალგაზრდული ორგანიზაციების, ნიჭიერი და აქტიური ახალგაზრდების წახალისება და თანადაფინანსება.

გ.ა) ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 04 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ფინანსური დახმარება ყველა იმ ორგანიზაციისა, რომელიც წარმოადგენს მიზნობრივ პროექტს, რომელშიც ნათლად იქნება ასახული ახალგაზრდული გარემოს გაუმჯობესება ან იქნება ორიენტირებული ახალგაზრდულ აქტივობებსა და ახალგაზრდების ინტელექტუალურ განვითარებაზე (ასაკი 14-29 წ).

გორის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური აქტიურად უჭერს მხარს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მიერ მხარდაჭერილ სასკოლო ოლიმპიადას, რომლის მიზანია სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში აქტიური და პერსპექტიული ახალგაზრდების გამოვლენა შემდგომში სხვადასხვა სპორტულ კლუბებში ჩასართავად.

გორის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდული განყოფილება საჯარო სკოლებსა, თუ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებელის სტუდენტებისათვის, ამავე დროს სამეურნეო საქმიანობაში და სხვა სფეროში დაკავებულ ახალგაზრდობისათვის გეგმავს სხვადასხვა სახის აქტივობებს, რომელთა მიზანია მათი სულიერი და ფიზიკური განვითარების ხელშეწყობა და ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 04)



პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური დაწესებულებების ხელშეწყობა.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 05 00)

